

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
რომანული ფილოლოგია

მაგდა უსტიაშვილი

აბრევიატურების ფორმირება და ფუნქციური ანალიზი  
ფრანგულ ენაში

ნაშრომი შესრულებულია რომანული ფილოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ფილოლოგიის  
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი - ბელა  
ხაბეიშვილი

თბილისი 2019

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Faculty of Humanities  
French Philology**

**Magda Ustiashvili**

**Formation and functional analysis of Abbreviations in French  
language**

**A thesis submitted to the Faculty of Humanities  
in partial fulfillment of the requirements for the Master's degree in  
Roman Philology**

**Leader: doctor of philology , associate  
Professor Bela khabeishvili**

**Tbilissi 2019**

## ანოტაცია

ნაშრომის „აბრევიატურების ფორმირება და ფუნქციური ანალიზი ფრანგულ ენაში“ მიზანია სიტყვათმემოკლების როლის განსაზღვრა როგორც თანამედროვე ენასა და ლიტერატურაში, ასევე ყოველდღიურ სამყაროში . უპირველეს ყოვლისა ჩემს ამოცანას წარმოადგენს ყურადღება გავამახვილო იმ საკითხებზე - თუ რა პრინციპების საფუძველზე ხდება სიტყვათმემოკლება, რამდენად დიდია მისი როლი საზოგადოებაში და რა ადგილი უჭირავს დღევანდელ სამყაროში , როგორ შეიძლება სიტყვათმემოკლების სხვადასხვა კერძო სახეების დიფერენციაცია და კატეგორიზაცია, არსებობს თუ არა რაიმე წესები ან ნორმები სიტყვათმემოკლების დროს და რამდენად ხდება მათი დაცვა. წარმოადგენს თუ არა სიტყვათმემოკლება ენობრივ „საფრთხეს“, არსებობს თუ არა ერთიანი მეთოდოლოგია რის საფუძველზეც მოხდება სიტყვათმემოკლების პრინციპების დაცვა, არსებობს თუ არა სახელმძღვანელო ერთიანი ევროპული ჩარჩოს ფარგლებში და არსებობს თუ არა ზღვარი სიტყვათმემოკლების დროს.

კვლევის მიზანია პირველ რიგში გამოიყოს სიტყვათმემოკლების კერძო ტიპები: აბრევიატურები, აკრონიმები და ინიციალები ერთმანეთისგან და კონკრეტული მაგალითების საფუძველზე განისაზღვროს მათი როლი სხვადასხვა პროფესიულ საქმიანობასა თუ ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მკითხველს საშუალება ექნება გაეცნოს ნეოლოგიზმის ერთი-ერთი კერძო სახის განვითარების პრინციპებს , კატეგორიებს და ნორმებს, რომლის სწორად გამოყენება აუცილებელია ენობრივი ღირებულებების დაცვის თვალსაზრისით.

1. შესავალი .....	გვ. 5
2. სიტყვათშემოკლება .....	გვ. 7
3. სიტყვათშემოკლების კერძო სახეები და მათი ისტორია .....	გვ. 9
4. აბრევიატურები ქართულ ენაში .....	გვ. 11
5. აბრევიატურები ფრანგულ ენაში .....	გვ. 15
6. აბრევიატურები კომუნიკაციურ სამყაროში.....	გვ. 26
7. აბრევიატურები ფრანგულ მედიაში .....	გვ. 29
7. დასკვნა .....	გვ. 34
8. გამოყენებული ლიტერატურის სია .....	გვ. 36
9. დანართი .....	გვ. 37

## 1. შესავალი

ერის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი მშობლიური ენა და მისი თვითმყოფადობაა. შემთხვევითი არ იყო, რომ მე-19 საუკუნის ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სიმბოლოს და მიზანს რწმენასა და მამულთან ერთად, ენა და მისი დაცვა წარმოადგენდა.

სწორედ ლინგვისტიკის შესწავლა გვაძლევს საშუალებას უკეთ დაგაკვირდეთ ენის ევოლუციის სხვადასხვა ეტაპებს. ენის განვითარების ყველაზე ფართო გამოხატულებაა ნეოლოგია. ნეოლოგიზმის განვითარება კი თავისთავად გულისხმობს ახალი სიტყვების შექმნას ან არსებული სიტყვებისთვის ახალი მნიშვნელობის მინიჭებას.

ჩემს ნაშრომში ვისაუბრებ სიტყვათშემოკლების როლზე ფრანგულ ენაში, კერძოდ კი აბრევიატურების, აკრონიმების და ინიციალების არსებობაზე, მათი გამოყენებისა და წარმოების პრინციპებზე.

ნაშრომის პირველი ნაწილში შემოგთავაზებთ თეორიას სიტყვათშემოკლების შესახებ, როგორც ქართულ, ასევე ფრანგულ ენაში, და ვისაუბრებ მის პრინციპებსა და კატეგორიებზე. განვიხილავ მის კონკრეტულ მაგალითებს სხვადასხვა პროფესიულ მიმართულებებში და განვსაზღვრავ სიტყვათშემოკლების ნორმებს, წესებს და ზღვარს, რაც ენობრივი ღირებულებების შენარჩუნებისთვის აუცილებელი წინაპირობაა.

არაფრანკოფონულ გარემოში საკმაოდ რთულია აკრონიმებით მეტყველების გაგება, ამიტომ მსგავსი კვლევა მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი საშუალებას მისცემს ფრანკოფონული საზოგადოების წამომადგენლებს გაერკვეს მის სირთულეში და აქედან გამომდინარე, თანდათანობით მივუახლოვდეთ იმ კონცეპტუალურ სინამდვილეს, რომელსაც გულისხმობს გამოთქმა „კომუნიკაციური სამყარო“

მეორე ნაწილში დავაზუსტებ აბრევიატურების გამოყენების სიხშირეს ფრანგულ მედიაში, ტელევიზიის (TV5 monde) რეპორტაჟების და ბეჭდური მედიის (Le Monde) მიხედვით.

## 2. სიტყვათშემოკლება

შემოკლება მეტყველების ელიფსური ფორმაა და ბუნებრივად წარმოიშობა, როგორც წერით, ასევე ზეპირ მეტყველებაში. აზრის მოკლედ გადმოცემის იდეა და დროის მაქსიმალურად სწორად გამოყენების აუცილებლობა, თავის მხრივ საფუძველს უყრის ენაში, ახალი შემოკლებული ფორმის სიტყვების შექმნასა და დამკვიდრებას.

შემოკლებული ფორმების გამოჩენამ ენაში, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადამიანთა ცხოვრების გამარტივებაში და გავრცელების არეალიც ძალიან გაფართოვდა. სიტყვათშემოკლების გამოყენება ჩვეულებრივ ამბად იქცა მედიაში, ჟურნალ-გაზეთებში, სამეცნიერო-ტექნიკურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ლიტერატურაში, სამხედრო და საზღვაო ნაშრომებში, რადიო-ტელევიზიის გადაცემებში, გეოგრაფიულ რუკებში და მხატვრულ ლიტერატურაში.

ტექნიკისა და ცხოვრების სწრაფმა განვითარებამ, თავის მხრივ წარმოქმნა დროის ეკონომიის პრობლემა, რამაც ზეგავლენა მოახდინა შემოკლებული სიტყვების წარმოქმნასა და გავრცელებაზე. შემოკლებული სიტყვების რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება, ფართოვდება, იჭრება ყველა დარგის ამსახველ ტერმინოლოგიაში და მარტივი სიტყვასავით მკვიდრდება ენაში, ხოლო მათი აქტიური გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში თანამედროვე მსოფლიოს თანადროული პროცესი და ენობრივი პოტენციალის გამოვლინებაა.

ენობრივი ეკონომიის ძირითადი მიზანია, რომ ტექსტში სწრაფი წვდომისა და ინფორმაციულობის მყისიერი მიღწევა ტექსტის შემოკლების ხარჯზე მოხდეს, რაც თავითავად გულისხმობს პირველ რიგში დროის ეკონომიას, შემდეგ კი ბეჭდვითი სიტყვის მოცულობის შემცირებას და ქალაქისა და ელექტრონული საურთიერთო ეკრანული და ინტერნეტ-სივრცითი გვერდების ეკონომიას. ფაქტია სიტყვათშემოკლების იდეამ ძალიან სწრაფად დაიმკვიდრა თავი ენობრივ სივრცეში და გავრცელების ფართო არეალიც ადვილად ჰპოვა,

რისი მტკიცებულებაცაა შემოკლებული სიტყვების ლექსიკონები.შემოკლება, ძირითადად ეხება ისეთ სიტყვებს, ტერმინებს და სიტყვათშეთანხმებებს, რომლებიც ყველაზე მეტად გამოიყენება ენაში.

სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების შემოკლების ხელოვნება - აბრევოლოგია - ლინგვისტიკის ერთ-ერთი თანამედროვე დარგია. ამ ლინგვისტური ფენომენის გავრცელებული ფორმებია : აბრევიატურები, აკრონიმები, ინიციალები. აბრევიატურის გამოყენება სათავეს იღებს 50-იანი, 60-იანი წლებიდან.

ქართულ ენაში ფართოდაა გავრცელებული აბრევიატურები. ცნებები აკრონიმი და ინიციალები კი საერთოდ არ გვხვდება , მხოლოდ რამდენიმე ლექსიკონშია ნახსენები აკრონიმი, სადაც აღნიშნულია, რომ აბრევიატურებსა და აკრონიმებს შორის ლექსიკური სხვაობა არ არსებობს და რომ ინიციალები "სახელის, მამის სახელის და გვარის საწყისი ასოებია (თეზელაშვილი, 2007, 324).

საყურადღებოა,რომ ფრანგულ ენაში ქართულისგან განსხვავებით საპირისპირო ტენდენციაა გამოხატული, სიტყვა „აბრევიატურა“ უფრო ნაკლებად გვხვდება ვიდრე „აკრონიმი“.

პირველი აბრევიატურული ტიპის ლექსიკონი გამოიცა ლონდონში 1886 წელს. დღეს ამ სახის ლექსიკონები ფართოდ გამოიყენება უცხოეთში.



### 3. სიტყვათშემოკლების კერძო სახეები და მათი ისტორია

როგორც უკვე აღვნიშნეთ სიტყვათშემოკლება გავრცელებულია აბრევიატურების, აკრონიმების და ინიციალების სახით. ვიდრე თითოეული სახის კატეგორიულ დახასიათებაზე გადავიდოდე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, წარმოგიდგინოთ თუ როგორ განიმარტება თითოეული მათგანი.

#### 1. აბრევიატურა - Une abréviation

აბრევიატურა არის სიტყვების პირობითი შემოკლება წერისას, მაგ., ე.ი. (ესე იგი), ე.წ. (ეგრეთ წოდებული), იხ. (იხილე), და სხვ.;

ბ) რთულშემოკლებული სიტყვა; მიიღება ორი ან რამდენიმე შემოკლებული სიტყვის ან აბრევიატურაში შემავალი სიტყვების პირველ ასოთა შეერთებით.

მაგ: ექთანი ( ექიმის თანაშემწე ) .<sup>1</sup>

Une abréviation est le raccourcissement d'un mot ou d'un groupe de mots, représentés alors par un caractère ou un groupe de caractères issus de ce mot

Exemple : etc. pour « et cætera »

#### 2. ინიციალი - Un sigle

გვარის, სახელის და მამის სახელის პირველი ასო. / მთავრული ასო, რომლითაც იწყება ბეჭდური და ხელნაწერი წიგნის ტექსტი ან მისი ცალკეული ნაწილი. წიგნის ძირითადი შრიფტისგან განსხვავდება ზომით, მოხაზულობით. ზოგჯერ ორნამენტებითაა შემკული და ფერადი მელნითაა დაწერილი. პირველნაბეჭდ წიგნებში ხელით იხატებოდა.<sup>2</sup>

Un sigle est un ensemble de lettres initiales, épelées, formant un mot servant d'abréviation.

Exemple : J.O. pour « jeux olympiques »

Exemple : BBL pour « Banque Bruxelles Lambert »

Exemple : TVA pour « Taxe sur la valeur ajoutée »

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

<sup>2</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

Exemple : TGV pour « Train à grande vitesse »

Exemple : SA pour « Société anonyme »

3 აკრონიმი Un acronyme

აკრონიმი არის სიტყვის ან სიტყვათშეთანხმების საწყისი ასოებიდან წარმოქმნილი სპეც. აბრევიატურა.<sup>3</sup>

Un acronyme est un sigle dont l'enchaînement des lettres se lit comme un mot simple (il est prononçable au lieu de devoir être épelé) ; parfois ces acronymes deviennent des mots ordinaires, processus qui commence par leur passage en minuscule.

Exemple : sida pour « syndrome d'immunodéficience acquise »

Exemple : cégep pour « collège d'enseignement général et professionnel

Exemple : radar pour « radio detection and ranging »

სიტყვათშემოკლების საჭიროება ჯერ კიდევ მე-7 საუკუნიდან იღებს სათავეს და აქტიურად იწყებს განვითარებას ენობრივი განვითარების პარალელურად. მისი გამოყენება დაიწყეს ჩანაწერებსა და მედლებზე. მან ფართო გავრცელება ჰპოვა როგორც ეპიგრაფიაში, ასევე ნუმისმატიკაში. თავდაპირველად არსებობდა მხოლოდ ინიციალები, რომლითაც ბერძნები სარგებლობდნენ, თუმცა მათ გავრცელებაში დიდი როლი მიუძღვით რომაელებს.

---

<sup>3</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

#### 4. აბრევიატურები ქართულ ენაში

გლობალიზაციის ჩარჩოებში მიმდინარე პროცესებმა, კერძოდ კი საერთაშორისო საინფორმაციო ენის ფართოდ გავრცელებამ და ენობრივი თუ ინფორმაციული ეკონომიის საყოველთაო ტენდენციამ თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენის მოსაგვარებელ პრობლემათა რიგშიც დააყენა აკრონიმებისა და აბრევიატურების ქართულად გადმოღებისა და გადმოცემის საკითხი. აქტუალურია როგორც მრავალრიცხოვან უცხო შემოკლებათა ქართულად გადმოცემის, ისე მათი ქართული შესატყვისების მიზანმიმართული წარმოების პრობლემა.

„როგორც აღმოჩნდა სიტყვის შემოკლება მწიგნობრულ ენათა უძველესი ტრადიციაა. იგი თავიდანვე საწერი საშუალებისა და დროის ეკონომიას ემსახურებოდა. შესამოკლებლად არჩევდნენ ყველაზე ხშირად ხმარებულ სიტყვებს და მწიგნობართა წრეში ამვიდრებდნენ სტანდარტულ შემოკლებებს. ძველ ქართულ ხელნაწერებში ვხვდებით სპეციალური ნიშნით გამოხატულ შემოკლებებს, რომლებსაც ქარაგმებს უწოდებენ: რა - რაძთა, ვა - ვითარცა, ლი - ღმერთი, ად - არამედ და სხვა.“ (ავთანდილ არაბული, 2014, 9)

როგორც უკვე აღვნიშნე სიტყვათა შემოკლებამ თანამედროვე ეპოქაში ტექნიკური სტილი შეიძინა. პრესა, ტელე- და ინტერნეტსივრცე, რეკლამები, აბრეზზე გამოფენილი წარწერები, საკანონმდებლო ენა, ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტები, სხვადასხვა დარგის სამეცნიერო ნაშრომები თუ პროექტები სიტყვათშემოკლების მთელ სისტემას წარმოგვიდგენს.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქართულში სიტყვათა შემოკლების რამდენიმე სახეობა გვაქვს :

„ ა) ნებისმიერი რეგულარულად ხმარებული საზოგადო სახელის შემოკლება (მაგალითად მისამართის მითითების დროს : **კვარტ.**- კვარტალი **სართ.**- სართული ...)

ბ) სახელისა და მამის სახელის ინიციალებით გამოხატვა ( ა.წერეთელი , ივ.ჯავახიშვილი ...)

გ) სხავდასხვა სახის ტექსტობრივი შემოკლებანი ( გვ.- გვერდი, შდრ.- შეადარე, ე.წ. - ეგრეთ წოდებული ... )

დ) წოდებათა და თანამდებობათა აღმნიშვნელი სახელების შემოკლებანი. (აკად.-აკადემიკოსი, ლაბ.- ლაბორანტი ...)" (ავთანდილ არაბული,2014,9)

სიტყვათშემოკლების განსხვავებული სახეობაა აბრევიატურები. ამ შემთხვევაში ორი ან რამდენიმესიტყვიანი სახელწოდება მოკლდება შემადგენელ სიტყვათა პირველი ასო-ბგერებისა თუ მარცვლების შეერთება ( თემქა - თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა , ჰესი- ჰიდროელექტროსადგური...)

თანამედროვე ქართულში საკმაოდ ხშირად გვხვდება უცხო ენებიდან შემოსული აბრევიატურები ( იუნესკო - UNESCO: United Nations Educational, Scientific and Cultural Organization - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში)

პრესაში, რეკლამებსა და ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში აბრევიატურები დიდი სიჭრელით გამოირჩევა ( ა.პე.ენი.; ენ-ტე-ვე; ო-პე-კი ; სი-ენ-ენი; ენ-ბი-სი-...)

ქართული ენის სიტყვათშემოკლების ლექსიკონის აუცილებლობა უდავოა. საამისოდ კი, უპირველეს ყოვლისა , საჭიროა აბრევიაციის წესების შემუშავება, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს ქართული ენის ფონემატურ კანონებს და წარმოადგენდეს საფეხურეობრივ ურთიერთშემავსებელ სისტემას..

„ წარმოგიდგენთ ქართული აბრევიატურების შედგენისა და გადმოცემის რამდენიმე ძირითად წესს:

1.აბრევიატურა შედგება მრავალსიტყვიანი სახელწოდების კომპონენტთა პირველი ასო-ბგერებისა ან , აუცილებლობის შემთხვევაში, პირველი ღია მარცვლებისგან.

2. აბრევიატურა იკითხება ისევე, როგორც იწერება და - პირიქით.  
3. აბრევიატურა იწერება ერთ სიტყვად, სასვენი ნიშნების გარეშე.  
4. აბრევიატურისათვის ამოსავალი შესიტყვების ბოლო კომპონენტი წარმოდგენილია პირველი ღია მარცვლის სახით.

5. აბრევიატურის შიდა გახმოვანების საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია:

ა) თუ აბრევიატურის შემადგენელ ასო-ბგერებს შორის ბუნებრივად აღმოჩნდება რომელიმე კომპონენტის დასაწყისი ხმოვანი, აბრევიატურის დამატებითი გახმოვანების საკითხი, ბუნებრივია არ დაისმის.

ბ) თუ აბრევიატურის შედგენისას წარმოქმნილი თანხმოვანთკომპლექსი მისაღები არ არის, იხსნება პირველი სიტყვის პირველი ღია მარცვალი : **ცესკო** ( ცენტრალური საარჩევნო კომისია ), **დაღა** (დამატებითი ღირებულების გადასახადი ), **ციგმა** ( ციფრული გამომთვლელი მანქანა) და სხვ.

გ) თუკი მეოთხე და მეხუთე (ბ) წესების გამოყენების შემდეგ კვლავ იქმნება მიუღებელი თანხმოვანთკომპლექსი , დამატებით გაიხსნება ამ სიტყვის პირველი ღია მარცვალიც, რომელიც აღნიშნულ დაბრკოლებას ქმნის.

6. თუ ამ წესების საფუძველზე შექმნილი შემოკლება გარკვეულ უხერხულობას ქმნის ომონიმურობის ან სკაბრეზულობის თვალსაზრისით, მაშინ შემოგვაქვს დამატებითი მარცვლოვნობა ან უარს ვამბობთ ერთ-ერთ იმ წესზე, რომელიც ქმნის ამ უხერხულობას. მაგალითად, ციფრული დიფერენციული ანალიზი შეიძლება ასე შემოკლდეს : **ცდა** , **ციდა**, მაგრამ ომონიმურობის გამო უმჯობესი იქნება **ციფდა**.

7. უკვე დამკვიდრებული ქართული შემოკლებები, რომლებიც ამ წესებს არ აკმაყოფილებს, შეიძლება დარჩეს უცვლელად.

**ალტერნატიული ვარიანტი:**

თანხმოვანზე დაბოლოებული ყველა შემოკლება გაფორმდეს -ო სუფიქსით : **ცესკო** (ცენტრალური საარჩევნო კომისია).

უცხოური აბრევიატურების ქართულად გადმოცემის წესებია:

1. უცხოური აბრევიატურა იწერება ქართული ასოებით (ტრანსლიტერაციით).

2. უცხოური აბრევიატურის ქართული დაწერილობა უნდა შეესაბამებოდეს მის საერთაშორისო გამოთქმას (ნატო ...)

3. აბრევიატურა უნდა დაიწეროს ერთ სიტყვად - დეფისების, წერტილებისა და ბრჭყალების გარეშე ( თიბისი )

4. თანხმობიდან უცხოურ აბრევიატურას დაერთვის სახელობითი ბრუნვის ნიშანი (სიენენი ... )“ (ავ. არაბული, 2014, 14)

აბრევიატურებს სამწუხაროდ ჟურნალისტები თუ სხვა დარგის სპეციალისტები სტიქიურად ქმნიან-გრამატიკული წესების დაუცველად, უსისტემოდ და ქაოსურად. რაც თავისთავად მოითხოვს რომ შემუშავდეს აბრევიატურებისა და შემოკლებული სიტყვების მართლწერის წესები მართლწერის ნორმების დაცვით.

კვლევამ აჩვენა, რომ დღევანდელ საზოგადოებაში აბრევიატურების როლი საკმაოდ დიდია და თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით, როგორც პროფესიულ, ასევე ზოგად აბრევიატურებს. თავისუფლად შეიძლება ითქვას რომ იგი დღევანდელი საზოგადოების განუყოფელ ნაწილად იქცა და დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მეტად ვითარდება და ფართოვდება გამოყენების არეალიც.

## 5. აბრევიატურები ფრანგულ ენაში

ფრანგულ ენაში აბრევიატურები დამკვიდრდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ფრანგული ენის ლექსიკონებში აბრევიატურები მოცემულია, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულები.

როგორ აღმოჩნდა, ფრანგულ ენაში განასხვავებენ აბრევიატურათა ორ ტიპს:

I ტიპი გვხვდება შედგენილ არსებით სახელებში, მეტწილად ხდება სიტყვის ბოლოკიდურის მოკვეთა. ამ პროცესს ეწოდება აბრევიაცია აპოკოპის საშუალებით. მოკვეთა ჩვეულებრივ ხდება **o**-ზე, **a**-ზე, **e**-ზე.

**metro** < metropolitan

**sana** < sanatorium

**huma** < humanité

**ciné** < cinéma

**auto** < automobile

ლათინური და ბერძნული წარმოშობის სიტყვების მოკვეთა ხდება უფრო მარტივად, მაგალითად:

**steno** < sténographe

**photo** < photographie

**melo** < mélodrame

**vélo** < vélodrome

ფრანგულ ენაში შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული ნაწარმოები აბრევიატურები, რომლებიც მიიღებიან ორი ან მეტი სიტყვის თავკიდურა მარცვლების შეერთებით. მაგ:

**Boul'Mich** < Boulevard St.Michel

**Sous-opp** < Sous-oppicier

**Vel d'Hiv** < Velodrome d'Hiver

ფრანგულ ენაში შედარებით იშვიათად ვხვდებით აფერეზას<sup>4</sup> შემთხვევებს.

მაგალითად:

**Pitaine** < Capitaine

**Fiture** < Confiture

**Bus** < Autobus

**Boche** < Alboche

**Tite** < Petite

სიტყვების ჯგუფთა ინიციალურ შეპირისპირებას, რომელიც მუდამ ანბანური დასახელებით იკითხება, “Les Sigles” ეწოდება. მაგალითად :

**C.G.T.** - confédération general du travail

**T.S.F.** - téléphonie sans fil

**R.P.** - représentation proportionnelle

სიტყვის ასოებრივ ანუ ინიციალურ შემოკლებას ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ.

I ჯგუფს მიეკუთვნებიან ე.წ გრაფიკული შემოკლებები. ე.ი. შემოკლებათა ისეთი ტიპი, რომელიც იხმარება მხოლოდ წერის დროს ხოლო კითხვის დროს წარმოითქმის სწორად. მაგალითად:

იწერება **c.à d.** იკითხება C'est-à-dire.

II ჯგუფს მიეკუთვნებიან ასოებრივი აბრევიატურები. ინიციალური შემოკლების ისეთი ტიპი, რომელიც წარმოადგენს ორი ან მეტი სიტყვის პირველი ასოებისგან მიღებულ ერთ ლექსიკურ ერთეულს და იხმარება წერაშიც და ზეპირმეტყველებაშიც. მაგ:

**F.I.D.E.** < Fédération Internationale des Echecs

**I.P.O.** < Institut Polytechnique de l'Ouest

---

<sup>4</sup> აფერეზა - სიტყვის მხოლოდ წინა ნაწილის მოკვეთა



ასოებრივი შემოკლებანი ფრანგულ ენაში ძირითადად გვხვდება საგაზეთო სტატიებსა და განცხადებებში, პოლიტიკური ხასიათის ჟურნალებში.

ფრანგულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დასახელებების უმრავლესობათა აბრევიატურა იქმნება შესამოკლებელ სიტყვათა პირველი ასოების შეერთებით (იხ.დანართი 1.1 )

ამავე გზით მიიღება ზოგიერთ მიმართვათა ზრდილობიანი ფორმა:

**S.V.P** – S’il vous plaît

ზოგიერთი სიტყვის აბრევიატურას შეესაბამება:

ა) შესამოკლებელი სიტყვის პირველი თავკიდური:

**Chap** - Chapitre

**Ex** - Exemple

**Dep** – Departement

ბ) შესამოკლებელი სიტყვის პირველი და ბოლო ორი ან სამი ასო:

**Mme** \_ madame

**Mr** – Monsieur

**Mlle** – mademoiselle

**Vve** – Veuve

გ) ზოგიერთ შემთხვევაში ორკეცდება პირველი ასო:

**Mm** – messieurs

დ) ზოგიერთი თვის დასახელება გადმოიცემა ციფრებითა და შესამოკლებელი სიტყვის ბოლოკიდურით:

**7 bre** – Septembre

**9 bre** – Novembre

ე) ზოგიერთი აბრევიატურა კი საერთაშორისო ხასიათს ატარებს :

**n°** - numéro

**X** – anonyme

ფრანგულ ენაში ყველაზე მეტად გავრცელებულია აბრევიატურის ტიპი, რომელიც იწარმოება სიტყვის ბოლოკიდურის ჩამოკვეთით. ე.წ. აბრევიატურა აპოკოპის საშუალებით. მაგალითად:

Prolo - პროლეტარი

Métallo - მეტალისტი

ზოგჯერ ერთიდაიგივე აბრევიატურაში რამდენიმე ცნებას გულისხმობენ . მაგ: აბრევიატურა Pt გამოხატავს ხუთ სიტყვას. ესენია: Pt-Petit ; Pt-Pont ; Pt-President ; Pt- Port ; Pt-Printemps , რაც იმის მანიშნებელია რომ აბრევიატურა შეიძლება იყოს სიტუაციური და არა უნივერსალური.

უნდა აღინიშნოს, რომ ვრცელი გავრცელების არეალის მქონე უნივერსალურ გაარსებითებულ აბრევიატურებსა და ვიწრო პროფესიულ კონტექსტუალურ აბრევიატურებს შორის ფუნქციური დანიშნულების განსხვავებაა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ უბრალოდ ტექსტის შემოკლება აბრევიატურას უნივერსალურად არ ხდის. მხოლოდ ვრცელი გავრცელების არეალის მქონე უნივერსალურ გაარსებითებულ აბრევიატურებს აქვს ფართო გამოყენების და ზეპირ კომუნიკაციაში არსებობის შანსი. თუ აბრევიატურას განვიხილავთ სხვადასხვა სფეროებში, მაშინ „ზეპირი კომუნიკაცია“ უნდა მივიჩნიოთ აბრევიატურათა პრიორიტეტულ სფეროდ, ვინაიდან მხოლოდ ის აბრევიატურა ითვლება საზოგადოებაში დამკვიდრებულად, რომელიც მათთვის ნაცნობია და ზეპირ კომუნიკაციაში გვხვდება. კონტექსტუალური ან სიტუაციური შემოკლება პროფესიული ტექსტების, ენციკლოპედიების და ლექსიკონების სფეროა, ამიტომ ზეპირი კომინიკაცია ასეთი სახის აბრევიატურების გაშიფვრას დამატებითი მინიშნებების გარეშე ვერ ახდენს. უფრო თვალსაჩინო რომ გახდეს განვიხილავ სხვადასხვა სფეროებში გავრცელებულ სიტუაციურ და კონტექსტუალურ შემოკლებებს.

მაგალითად, მათემატიკურ ტერმინოლოგიაში იხმარება შემდეგი აბრევიატურები:

**P.G.C.M** -Plus Grande Commun Multiple

**N.R** – Nombre Rationnel

**R.C** – Racine Carnée

**Q** - quotient და სხვა.

რაც იმის მანიშნებელია,რომ აბრევიატურები მიღებულია შესამოკლებელი სიტყვების პირველი ასოების შეერთებით.

ფრანგულ გრამატიკაში აბრევიატურებად ითვლება:

**Pr** – Pronom

**V.I** – Verbe Irregulier

**P.R** – Pronom Relatif

**N.P** – Nom Propre

**Adv.** – adverbe

**Art.** – article

**Comp.**-comparer

**Ex.**- exemple

**Dict.** –dictionnaire

**Fam.** – familier

**Lat.**- latin

**Loc.** – locution

**Masc.** – masculine

**Plur.** – pluriel

**Qqch** – quelque chose

**Qqn** – quelqu'un

**Subj** – subjonctif

**Sing** – singulier

**Syn** – synonyme და ა.შ

თუმცა რათქმაუნდა ეს დამკვიდრებულია მხოლოდ ამ კონკრეტულ მიმართულებაში და არ არის უნივერსალური.

აბრევიატურები ასევე აქტიურად გამოიყენება გეოგრაფიულ რუკებში:

**N** – nord (north)

**E** – est (est )

**S** – sud (south)

**W** – oust (west)

**Km** – kilomètre (kilometer)

**S** – sable (sand)

**St** – pierres (stones)

**G** – gravier (gravel)

**Ri** – rivière ( river )

**P** – cailloux (pebbles)

გეოგრაფიულ რუკებში არსებულ აბრევიატურებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ხშირია ტენდენცია, როცა სიტყვა მოკლდება მათი ინგლისური მნიშვნელობის პირველი ან პირველი და მეორე ასოებით.

ასევე საინტერესოდ მივიჩნეე აბრევიატურები ეკონომიკის დარგში, ვინაიდან ეკონომიკური საკითხი საკმაოდ აქტუალურია. რათქმაუნდა შემოგთავაზებთ კიდევ რამოდენიმე მათგანს, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ამ სფეროში:

**P**-Production

**C**-Consommation

**E** - Epargne

**I** - investissement

**PA**-Population active

**PI**-Population inactive

**X** -Exportation

**M** - Importation

**K** – Capital Kisme Capitalisme

**L** -Travail

**P** - Profit

**Pté** - Productivité

**VA** - Valeur ajoutée

**CI** - Consommation intermédiaire

**CA** - Chiffre d'affaire

**PIB** - Produit Intérieur Brut

**CT** - Court terme

**MT** - Moyen terme

**LT**- Long terme

**E** - Entreprise

**CS** -Cotisations sociales

**R** - Revenu

**Tx** – Taux

თუმცა ამ შემთხვევაშიც უნდა აღინიშნოს რომ ეს აბრევიატურები დამახასიათებელია მხოლოდ ამ კონკრეტული სფეროსთვის.

რაც შეეხება მედიცინის სფეროს, მისთვის განსაკუთრებითაა დამახასიათებელი - სპეციფიურობა.

**AND** – acide désoxyribonucléique - დნმ

**BDC** – bruit du Coeur

**DMT** – dose maximale tolérée

**HB** – hemoglobin

**K** – cancer

**MCE** – massage cardiaque externe

**QI** – quotient intellectuelle

**SNP** – système nerveux périphérique

**MPOC** – maladie pulmonaire obstructive chronique

**OMA** – otite moyenne aiguë

**IA** – insuffisance aortique

**HTA** – hypertension artérielle

**TS** – temps de saignement

**TVP** – thrombose veineuse profonde

**HLM** – Hématies-leucocytes/minutes

სამედიცინო აბრევიატურებზე დაკვირვების შემდეგ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამედიცინო აბრევიატურების გაგება აუცილებლად მოითხოვს დამატებით მინიშნებებს სხვა პროფესიის ადამიანებისთვის, ვინაიდან იგი ძალიან სპეციფიური და ამ სფეროსთვის სახასიათოა.

მარტივ აბრევიატურათა ილუსტრაციას წარმოადგენს აგრეთვე სასკოლო ჟარგონები:

**Prof** – Professeur

**Exer** – Exercice

**Compo** – Composition

**Fac** – Faculté

**Récré** – Recreation

**Corri** – Corridor

აბრევიატურები, რომლებიც სამეცნიერო ნაშრომებში გვხვდება, ენათმეცნიერებაში ცნობილია როგორც ოკაზიური აბრევიატურები, ასეთი აბრევიატურის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ:

**Ana-patho** < anatomie pathologique

**Mecara** < Mécanique rationnelle

შედარებით მიუწვდომელი იყო ასოებრივი შემოკლებისათვის მხატვრული ლიტერატურული ენა, მაგრამ რადგანაც მხატვრული ლიტერატურის ენა

მგრძნობიარეა ცხოვრების მრავალფეროვანი მოვლენებისადმი და პირველ რიგში ზეპირი მეტყველებისადმი, ლიტერატურულ ენაშიაც შეიჭრა შემოკლებული სიტყვები და უხვად მოიკიდა ფეხი თითქმის ყველა ტიპის აბრევიატურათა შესანიშნავ ილუსტრაციას წარმოადგენს ლ.არაგონის მრავალტომიანი რომანი „კომუნისტები“.

აბრევიატურას აქვს თავისი სემანტიკური თავისებურება, სრული გამოთქმისაგან დამოუკიდებელი არსებობის უნარი. მოუბარი თავისუფლად იყენებს საუბარში აბრევიატურებს. ხმარობს მათ განსაზღვრული კონკრეტული მნიშვნელობით და სრულიადაც არ საჭიროებს იცოდეს მისი შემადგენლობა. ამაშია აბრევიატურების სიცოცხლისუნარიანობის საიდუმლოება.

დროის ეკონომიის მიზნით თანამედროვე ფრანგულ ენაში ხშირად ამგვარი აბრევიატურებიც გვხვდება:

Colon ნაცვლად colonel - ისა

Couverte ნაცვლად couverture - ისა

ასევე უნდა გამოვყო თავისებური შემოკლებების ფორმა , რომელსაც საფრანგეთში გამოიყენებენ მაღაზიაში წარწერებზე:

**K7** – Casette

**A** – À vendre

ამგვარად თანამედროვე ფრანგულ ენაში შემოკლებები ანუ აბრევიატურები უკვე ენობრივი ფაქტია და სამწერლო ლიტერატურულ და ცოცხალ მეტყველებაში იგი თამამად შეიძლება ჩაითვალოს დამკვიდრებულად.

კვლევის პერიოდში საინტერესოდ მივიჩნიე ის შემოკლებები, რომლებსაც ფრანგები ბიბლიაში იყენებენ :

<b>Ancien Testament</b>		<b>Nouveau Testament</b>	
Gn	Genèse	Mt	Évangile selon Mattieu
Ex	Exode	Mc	Évangile selon Marc
Lv	Lévitique	Lc	Évangile selon Luc
Nb	Nombres	Jn	Évangile selon Jean

Dt	Deutéronome	Ac	Actes des apôtres
Jos	Josué	Rm	Romains
Jg	Juges	1 Co	I Corinthiens
Rt	Ruth	2 Co	II Corinthiens
1 S	I Samuel	Ga	Galates
2 S	II Samuel	Eph	Ephesians
1 R	I Rois	Ph	Philippiens
2 R	II Rois	Col	Colossiens
1 Ch	I Chroniques	1 Th	I Thessaloniens
2 Ch	II Chroniques	2 Th	II Thessaloniens
Esd	Esdras	1 Tm	I Timothée
Ne	Néhémie	2 Tm	II Timothée
Est	Esther	Tt	Tite
Jb	Job	Phm	Philémon
Ps	Psaumes	He	Hébreux
Pr	Proverbes	Jc	Jacques
Ecc	Écclésiaste	1 P	I Pierre
Ct	Cantique des cantiques	2 P	II Pierre
Es	Esaïe	1 Jn	I Jean
Jr	Jérémie	2 Jn	II Jean
Lm	Lamentations	3 Jn	III Jean
Ez	Ézéchiël	Jd	Jude
Dn	Daniel	Ap	Appocalypse
Os	Osée		
Jl	Joël		
Am	Amos		
Ab	Abdias		
Jon	Jonas		
Mi	Michée		
Na	Nahoum		
Ha	Habakuk		
So	Sophonie		



Ag	Aggée	
Za	Zacharie	
Ml	Malachie	

## 6. აბრევიატურები „კომუნიკაციურ“ სამყაროში.

„კომუნიკაციურ“ სამყაროში წერილობითი კომუნიკაცია ერთ- ერთი ყველაზე აქტუალურია საკითხს წარმოადგენს ამკარაა,რომ საზოგადოება მიჯაჭვულია სოციალურ ქსელებზე, მობილურებზე და ხშირად „უწევთ“ მოკლეტექსტური შეტყობინებების გაგზავნა, რასაც კიდევ უფრო ამოკლებენ აბრევიატურების საშუალებით. ხშირად ეს ხდება, როგორც დროის დაზოგვის, ასევე სივრცის დაზოგვის მიზნით.(ვინაიდან მოკლე ტექსტურ შეტყობინებაში სიტყვების რაოდენობა განსაზღვრული და შეზღუდულია) დაკვირვების შედეგად , მე შემოგთავაზებთ მიმოწერაში ყველაზე ხშირად ხმარებულ სიტყვათშემოკლებებს:

**A.R** – Accusé de Réception

**Av** – Avenue

**Bld** – Boulevard

**BP** – Boîte Postal

**C.V** – Curriculum Vitae

**H.T** – Hors Taxes

**P.S** – Poste Scriptum

**Rte** – Route

**R.V** – Rendez-vous

**S.A** – Societé Anonyme

**T.V.A** – Taxe la Valeur Ajoutée

**V-Voir**

**Alp** – à la prochaine

**Slut**- salut

**Mdr** – Mort de rire

**Bcp**- Beaucoup

**Jtm** – Je t'aime

**Mdp** – Mot de passe

**PK** – Pourquoi

**Raf** – Rien à faire

**A+** - À plus tard

**KDO** – Cadeau

**C b 1** – C'est bien

**LOL** - Éclater de rire

**Mek** – Garçon

**Msg** – Message

**M jvb** – Moi, je vais bien

**WE** – week – end

**Ama** – À mon avis

**Alp** – À la prochaine

**Bap** – bon après midi და ა.შ

სიტყვათშემოკლების გამო ფრანგული ენა თანდათან სცილდება კლასიკურ ფრანგულს და თანამედროვე მიმოწერა ხშირად გაუგებარიც კი რჩება საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელმაც არ იცის საკომუნიკაციო აბრევიატურების განმარტება. მაგალითისთვის შემოგთავაზებთ ნაწყვეტს ფილმარსოს წიგნიდან, რომელიც შექმნილია მესიჯის ენით და ასევე მის თარგმანს კლასიკური ფრანგულით.

3h mat'.... La f1 me gayTe. 3j, emûRé ds lê WC. JaV bô écout' la FM, person ne tchat sur moa. Lol ! Soud1 ! 1 brui me fè bondir 2 la kuvett dê WC. J rêv ? Le mÛr Cfondra sous 1 AVAlanch 2 kou 2 pioch. Le boss m'1tRpèl :

3h du matin... La faim me guette. Trois jours emmurés dans les wc, j'avais beau écouter la radio, personne ne parlait de moi. Ah ! Ah ! Soudain ! Un bruit me fait

bondir de la cuvette des wc. Je rêve ? Le mur s'effronda sous une avalanche de coup de pioche. Le patron m'interpelle.<sup>5</sup>

ფაქტია , რომ თანამედროვე მიმოწერა თითქმის გაუგებარი რჩება ადამიანთა იმ კატეგორიისთვის , ვინც ვერ ერკვევა მიმოწერის ახლებურ პრინციპებსა და ფორმებში. ამიტომ შეიძლება ითქვას რომ, აბრევიაცია ნაკლებად წარმოადგენს ენის პროდუქტიულ წყაროს, ეს უფრო ახალი ფორმაა, ახალი ვარიანტია სიტყვათა სტილისტური მოდულების შექმნისა , რაც თავისთავად წარმოადგენს საფრთხეს იმისთვის, რომ ფრანგული ენა თანდათან ჩამოშორდეს კლასიკურ ფრანგულ ენას.

---

<sup>5</sup> Phil Marso – „Pa sage a Taba :vo sms“

## 5. აბრევიატურები ფრანგულ მედიაში

სანამ უშუალოდ აბრევიატურებზე ვისაუბრებდე, ვფიქრობ საინტერესო იქნება, თუ დავაკვირდებით ადამიანთა დამოკიდებულებას აბრევიატურის სხვადასხვა ტიპებთან მიმართებაში და უკეთესად წარმოვაჩინოთ, თუ ზუსტად რა როლი უკავია მედიის სხვადასხვა საშუალებებს მათ ცხოვრებაში.

მედიის როლი საკმაოდ დიდია საზოგადოების ცხოვრებაში. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ჩნდება რადიო, შემდგომ პერიოდში კი, როდესაც ამას ემატება ტელევიზია და ინტერნეტი, ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საფრანგეთში, ყველა დეგება ახალი ამოცანის წინაშე: ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად განავითარონ ენაც. ეს პროცესი ძირითადად ნეოლოგიზმების მასშტაბური გაჩენით ხასიათდება თითქმის ყველა ენაში.

საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას ჩავატარე პატარა კვლევა, რომლის მიხედვითაც წარმოგიდგინოთ აბრევიატურების გამოყენების სტატისტიკას ფრანგულ მედიაში . ბეჭდური მედიიდან განვიხილავ „Le Monde“ - ს (კონკრეტულად პოლიტიკურ, სამეცნიერო და საერთაშორისო რუბრიკებს) medias de diffusion- დან TV5MONDE (კერძოდ საინფორმაციო გადაცემები ბოლო ორი კვირის მანძილზე) .

**Le Monde :**

	15-20	20-25	25-30	30-35	35-40	40-45	45-50
P.S-Parti socialiste							48 ✓
PCF – Parti communiste Français						43 ✓	
LR – Les Républicains					35 ✓		
LRM – La république en Marche							46 ✓
LFI – La France Insoumise				33 ✓			
FR – Front National			28 ✓				
CNES-Centre National d'études Spatiales	16 ✓						
ECN- Ecole Classante Nationale			26 ✓				
CEE – Communauté				32 ✓			

économique européenne							
UE – Union Européenne							47 ✓
JO – Jeux Olympiques		24 ✓					
UEFA-Union européenne de Football- Association			29 ✓				
ENA - Ecole Nationale d'Administrat ion	19 ✓						
EI – Etat Islamique				31 ✓			

TV 5 MONDE :

	15-20	20-25	25-30	30-35	35-40	40-45	45-50
FIFA – federation Internationale de football Association.				33 ✓			
UE – Union Européenne							46 ✓
CD-Compact Disk	17 ✓						
OTAN – Organisation du traité de l’Atlantique nord						42 ✓	
DOM-TOM – Départements d’Outre Mer- Teritoire d’Outre Mer				33 ✓			
HLM – Habitation à		22 ✓					



loyer Moderé							
FED- Fond Européenne de Développement.			27 ✓				
MIN – Marché d' intérêt national	18 ✓						
ONU – Organisations des Nations Unis					36 ✓		
PAF – Police aux frontières		24 ✓					
UTA- Union des Transports Aériens			27 ✓				

სტატისტიკის მიხედვით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მედიაში ყველაზე ხშირად გამოიყენება საერთაშორისო ორგანიზაციების აბრევიატურები. ეს აბრევიატურები მიეკუთვნება იმ უნივერსალურ აბრევიატურებს, რომელიც საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი და გასაგებია. თუმცა, ამასთანავე, უნდა ითქვას ისიც, რომ ხშირად მედია საშუალებები სიტყვებს ნორმების დაუცველად ამოკლებენ, რაც ენობრივ საფრთხეს წარმოადგენს.

## დასკვნა

შესწავლილი მასალისა და ჩატარებული კვლევების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ აბრევიატურის გავრცელება და მის მიერ სოციუმში შეღწევა მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამასთან, ინტერნეტ სივრცემ და მედია საშუალებებმა კიდევ უფრო შეუწყო ხელი მის გავრცელებას და ინტერპრეტაციას.

აბრევიატურა სოციალური მოვლენაა და ხალხის გარეშე არ არსებობს. ადამიანები კი არ არსებობენ ენის გარეშე. საბაკალავროს თემაზე მუშაობისას, მთავარი მიზანი სწორედ აბრევიატურების დაკავშირება იყო საზოგადოებას განვითარებასთან და ენის ცვლილების წარმოჩენა აბრევიატურის განვითარების თვალსაზრისით .

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გავრცელების არეალის მქონე უნივერსალურ გაარსებითებულ აბრევიატურებსა და ვიწრო პროფესიულ კონტექსტუალურ აბრევიატურებს შორის ფუნქციური დანიშნულების განსხვავებაა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ უბრალოდ ტექსტის შემოკლება აბრევიატურას უნივერსალურად არ ხდის. მხოლოდ ვრცელი გავრცელების არეალის მქონე უნივერსალურ გაარსებითებულ აბრევიატურებს აქვს ფართო გამოყენების და ზეპირ კომუნიკაციაში არსებობის შესაძლებლობა. გასაგები გახდა ისიც, რომ კონტექსტუალური ან სიტუაციური შემოკლება პროფესიული ტექსტების, ენციკლოპედიების და ლექსიკონების სფეროა. ამიტომ ზეპირი კომუნიკაცია ასეთი სახის აბრევიატურების გაშიფვრას, დამატებითი მინიშნებების გარეშე ვერ ახდენს.

მნიშვნელოვანია, რომ შემოკლება დროის და სივრცის ეკონომიასთან ერთად გვთავაზობს ენის „გადაგვარების“ საფრთხეებს.

აღსანიშნავია განსხვავებაც, ქართულ და ფრანგულ ენაში, იმ თვალსაზრისით რომ ქართულ ენაში აბრევიატურებსა და აკრონიმებში ლექსიკური სხვაობა არ

არის, ფრანგულში კი პირიქით აკრონიმი უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე აბრევიატურა.

ჩემი ინტერესის სფერო ასევე მოიცავდა, ჩემს ხელთ არსებული მასალების გამოყენებით, რაც შეიძლება ზუსტად აღმეწერა და ჩამენიშნა ის აბრევიატურები და აკრონიმები, რომლებსაც ფრანკოფონულ სივრცეში იყენებენ, თუმცა აღმოჩნდა, რომ სახელმძღვანელო აბრევიატურების შესახებ ერთიანი ევროპული ჩარჩოს ფარგლებში არ არსებობს. ვთვლი რომ, ასეთი კვლევა ფილოლოგიისათვის საჭიროცაა და საინტერესოც, ნაშრომის ბოლოს კი დანართის სახით (დანართი 1.1) გთავაზობთ იმ აკრონიმებს, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ინტერნეტ და ტელე სივრცეში (ორგანიზაციების, დაწესებულებების, პოლიტიკური პარტიების, თანამდებობების შემოკლებული ფორმები) .

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. არაბული ავთანდილ - ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ლექსიკონი , ტერმინოლოგიის საკითხები , თბილისი 2014 , 9-17
2. კალანდაძე გ. - აბრევიატურები თანამედროვე ფრანგულ ენაში , უცხოური ენები სკოლაში , თბილისი, 1970, N2 , 20-22
3. სურგულაძე ნატალია - აკრონიმებით მეტყველების პრობლემების კვლევა თანამედროვე ფრანგულ ენაში , საენათმეცნიერო ძიებანი , თბილისი, 2007 , XXVI, 226-237.
4. abréviation - Dictionnaire de français Larousse , paris 2013
5. <http://www.espacefrancais.com/lhistoire-des-abreviations/>
6. <http://www.les-abreviations.com/autres-abreviations.html>
7. <https://meltingmots.com/>
8. <http://mathias.bavay.free.fr/bible/fr/abbreviations.html>
9. Robert, Le Petit Robert; Dictionnaires le Robert; Paris 2011

## დანართი 1.1

**A.A** – Accord amiable - მომრიგებლური შეთანხმება

**A.A** – Acte d'Accusation - საბრალდებო აქტი

**A.C** – Accord Commercial - სავაჭრო შეთანხმება

**A.C** - Ancien Combattant - ომის ვეტერანი

**A.C** – Aviation Civile - სამოქალაქო ავიაცია

**A.C.F** – Anciens Combattants Français - ფრანგ ვეტერანთა ორგანიზაცია

**A.C.I** – Alliance Cooperative Internationale - საერთაშორისო ალიანსი

**A.D.I** – Académie Diplomatique Internat - საერთაშორისო დიპლომატიური  
აკადემია

**A.E** – Affaires Etrangères ( Ministre des) - საგარეო საქმეთა მინისტრი

**A.G** – Avocat Général - პროკურორის თანაშემწე

**A.I.J.D** – Association Internationale de Juristes Democrates - იურისტ-  
დემოკრატთა საერთაშორისო ორგანიზაცია

**A.I.T** – Alliance Internationale de Tourisme - საერთაშორისო ტურისტული  
ალიანსი

**A.M.G** – Assistance Médicale Gratuite - უფასო სამედიცინო დახმარება

**A.N** – Acte de Naissance - დაბადების მოწმობა

**A.N** – assamblée Nationale - ეროვნული ასამბლეა (ერა)

**A.P** – Administration Publique - სახელმწიფო ორგანიზაცია

**A.P.G** – Ancien Prisonnier de Geuree - ყოფილი სამხედრო ტყვე

**A.T** – Affection Temporaire - დროებითი დანიშვნა

**B.F** – Banqueroute Fradouleuse - განზრახ გაკოტრება

**B.P** – Banlieue Parisienne - პარიზის გარეუბანი

**B.T** – Blessé du Travail - შრომის ინვალიდი

**B.T** – Bourse du Travail - შრომის ბირჟა

**B.V** – Bulletine de Vote - საარჩევნო ბიულეტენი

- C.A – Chargé d' Affaires - რწმუნებული
- C.A – Conseils d'Administration - ადმინისტრაციული საბჭო
- C.A – Cour d'Assises - ნაფიც მსაჯულთა სასამართლო
- C.B – Chef de Bureau - განყოფილების გამგე
- C.B – Carte Blanche - სრული თავისუფლების მინიჭება
- C.C – Camarade de Combat - თანამებრძოლი
- C.C – Camp de Concentration -საკონცენტრაციო ბანაკი
- C.C – Code civile - სამოქალაქო სამართლის კოდექსი
- C.C – Comité Centrale - ცენტრალური კომიტეტი
- C.D – Chambre des Deputés - დეპუტატთა პალატა
- C.D – Certificat de Domicile - ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან
- C.E – carte d'Electeur - ხმის უფლების მოწმობა
- C.E – Certificat d'Etudes - სასწავლებლის მოწმობა
- C.E – Collègue Electorale - ამომრჩეველთა კოლეგია
- C.E – Conseils d'Etats - სახელმწიფო საბჭო
- C.F – Citoyens Français - საფრანგეთის მოქალაქე
- C.I – Carte d'Identité - პირადობის მოწმობა
- C.J – Carte Judiciaire - ნასამართლეობის ცნობა
- C.J.M – Code de Justice Militaire - სამხედრო სასამართლო
- C.M – Cabinet des Ministres - მინისტრთა კაბინეტი
- C.M – Conseils de Ministres - მინისტრთა საბჭო
- C.M – Consentiment Mutuel - ურთიერთშეთანხმება
- C.O.E – Conseils Œcuménique des Eglises - მსოფლიო საეკლესიო კრება
- C.P – Code Pénal - სისხლის სამართლის კოდექსი
- C.P – Congé Payé - ფასიანი შვებულება
- C.R – Conseil de la République - რესპუბლიკის საბჭო
- C.R.F – Croix-Rouge Française - საფრანგეთის წითელი ჯვარი

C.S – Clause Secrète - საიდუმლო სტატია

C.S – Conseil de Sécurité - უშიშროების საბჭო

C.T – Code du Travail - შრომის კანონთა კოდექსი

C.T – Conseil de Tutelle - სამეურვეო საბჭო

D.C – Droit de Cité - მოქალაქეობრივი უფლება

D.C – Droits Civiques - პოლიტიკური უფლებები

D.D – Dépêche Diplomatique - დიპლომატიური გზავნილი

D.E – Domain de l’ Etat - სახელმწიფო საკუთრება

D.E – Droits Exclusif - გამომრიცხავი უფლება

D.G – droits de Gens - საერთაშორისო სამართალი

D.H – Droits de l’ Homme - ადამიანის უფლებები

D.I – Destinataire Inconnu - უცნობი ადრესატი

D.L – Decret Loi - საგანგებო კანონი

D.M – Décision Ministérielle - მინისტრთა დადგენილება

D.P – Déportés Politiques - პოლიტიკური დევნილები

D.P – Droits Politiques - პოლიტიკური უფლებები

D.S – Députés Sortants - ვადაგასული დეპუტატები

D.S – Document Secret - საიდუმლო დოკუმენტი

D.T – Drapeau Tricolore -საფრანგეთის სამფეროვანი ნაციონალური დროშა

E.A – Etats Associés - მოკავშირე ქვეყნები

E.C – Etats Contractants - მოკავშირე ქვეყნები

E.D – Empreintes Digitales - თითების ანაბეჭდი

E.F – Etat Français - საფრანგეთის სახელმწიფო

E.J – Expertise Judiciaire - იურიდიული ექსპერტიზა

E.N.P – Ecole Normale Primaire - პედაგოგიური საშუალო სკოლა

E.N.S – Ecole Normale supérieure - უმაღლესი პედაგოგიური ინსტიტუტი

E.U.A – Etats-Unis d’ Amerique - ა.შ.შ

**F.A** – Forces Armées - შეიარაღებული ძალები

**F.F** – Faillité Frauduleuse - სრული გაკოტრება

**F.F.E** – Fédération Français d' Echecs - საფრანგეთის ჭადრაკის ფედერაცია

**F.F.F** – Fédération Française de Football - საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია

**F.F.I** – Force Français de l'Interieur - საფრანგეთის შინაგანი ძალები

**F.I.S** – Fondes International de Secours - საერთაშორისო დახმარების ფონდი

**F.J** – Frais de Justice - სასამართლოს ხარჯები

**F.M.I** – Fondes Monétaire Internationale - საერთაშორისო სავალუტო ფონდი

**F.N** – Fête Nationale - ნაციონალური დღესასწაული

**F.N.P** – Fédération Nationale de la Publicité - რეკლამის ეროვნული ფედერაცია

**F.O.M** -France d'Outre Mer - ზღვის იქითა საფრანგეთი

**F.P** – Fête Publique - სახალხო დღესასწაული

**G.D.S** – Garde Des Sceaux - იუსტიციის მინისტრი

**G.P** – Gardien de la Paix - პოლიციელი (საფრანგეთში )

**G.P** – Grand Prix - მთავარი პრიზი,ჯილდო

**H.E** – Homme d'Etat - სახელმწიფო მოღვაწე

**H.P** – Hautes Puissances - უმაღლესი ხელისუფლება

**H.P** – Homme Politique - პოლიტიკოსი

**H.V** – Hôtel de Ville - ქალაქის საბჭო

**I.D** – Immunité Diplomatique - დიპლომატიური ხელშეუხებლობა

**I.M** – Inflation Monétaire - ფულის ინფლაცია

**I.P** – Instruction Publique - სახალხო განათლება

**J.D** – Jeunesse Démocratique - დემოკრატიული ახალგაზრდობა

**J.F** – Jour Férié - საზეიმო დღე

**J.O** – Jour Olimpiques - ოლიმპიური დღე

**L.E.F** – Liberté,Egalité, Fraternité - ძმობა, ერთობა. თავისუფლება

**M.A** – Majorité Absolue - აბსოლუტური უმრავლესობა



**M.H** - Médaille d'Honneur -საპატიო მედალი

**M.M** – Médaille Militaire - სამხედრო ორდენი

**N.M** – Nouveau Monde - ახალი სამყარო

**O.N.U** – Organisations des nations Unies - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

**O.J**- Ordre du Jour -დღის წესრიგი

**P.E** – Pouvoir Executif - აღმასრულებელი ხელისუფლება

**P.L** – Pouvoir Législatif - საკანონმდებლო ხელისუფლება

**P.P** – Prissonier Politique - პოლიტპატიმარი

**P.R** – Président de la République - რესპუბლიკის პრეზიდენტი

**U.A.I** – Union des Association Internationales - საერთაშორისო ორგანიზაციების გაერთიანება

**U.F** – Union Française - საფრანგეთის კავშირი

**U.D.U** - Union Française Universitaire -საფრანგეთის სტუდენტთა კავშირი

**U.I.P.E** - Union Internationale pour la Protection de l'Enfance -ბავშვთა დაცვის საერთაშორისო ფონდი

**U.O** – Union Occidentale - დასავლეთ ევროპის კავშირი

**V.O** – Ville Ouverte - ღია ქალაქი

**V.O** – Visa Officiel - ოფიციალური ვიზა

**Z.F** – Zone Franche -თავისუფალი ზონა

**Z.F** – Zone Frontière -სასაზღვრო ზონა